SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396 | მარტი | 2021 | №7

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / სპორტი / ქალაქის ამბები

პოლონეთში წასული მეშახტეები სამუშაოდ საქნახშირში დაბრუნდნენ!

2 | კომისიამ მუშაობა დაასრულა!

5 | შახტში ნაპოვნი სიყვარული

3 | „ძიძიგურის" შახტა მრავალწლიანი ისტორიით

„საქნახშირში" სპორტული ღონისძიებებისთვის მზადება დაიწყო! | 5

კომისიამ მუშაობა დაასრულა!

N4 ნახშირმომპოვებელი უბნის მიერ გეგმის შეუსრულებლობის საკითხზე შექმნილმა კომისიამ მუშაობა დაასრულა. კომისიამ სპეციალისტებთან ერთად გეგმის შეუსრულებლობის დასახელებული მიზეზები დეტალურად შეისწავლა.

შედეგად დადგინდა, რომ კომპანიის მენეჯმენტის მიერ 2021 წლის მოპოვების გეგმა შედგენილი იყო განვლილი პერიოდის მოპოვების მაჩვენებლების შესაბამისად და არანაირ შეცდომას ადგილი არ ჰქონია. 2021 წლის იანვარში გეგმა განვლილი პერიოდის მოპოვების მაჩვენებლის შესაბამისად შედგა. კერძოდ, 2020 წლის ნოემბერში დღიური საშუალო მაჩვენებელი 236 ტონა იყო, ხოლო 2020 წლის დეკემბერში 226 ტონა. 2021 წლის იანვარში კი დღის განმავლობაში დადგენილი გეგმა 222 ტონას შეადგენდა. ყველა ობიექტური მიზეზი გათვალისწინებული იყო ანაზრაურებაში.

2020 წლის მეორე ნახევარში N4 უბანმა არ შეასრულა გაყვანითი სამუშაოების გეგმაც, რის გამოც დასავლეთ ფრთაზე მოპოვებითი სამუშაოები 2021 წლის 15 იანვრამდე ვერ დაიწყო. 2020 წლის ივლისიდან სექტემბრამდე III ფენის დასავლეთ ფრთაზე დაგეგმილი 70 მეტრიდან უბანმა მხოლოდ 6 შეასრულა. რის შემდეგაც დასახმარებლად სამუშაოებში ჩაერთვნენ მზადების უბნის მუშები. მათ დაგეგმილი 60 მეტრის ნაცვლად 80 მეტრი გაიყვანეს (გადაჭარბებით შეასრულეს სამუშაოები). მიუხედავად ამისა, 2021 წლის იანვრის თვეში №4 უბანმა მაინც ვერ მოამზადა საწმენდი სანგრევი;

N4 უბნის მიერ, კიდევ ერთ მიზეზად Covid 19-ით გამოწვეული გაცდენები დასახელდა. კომისიამ დეტალურად შეისწავლა აღნიშნულ პერიოდში გაცდენილი დღეები და დისციპლინის საკითხი. დადგინდა, რომ Covid 19-თან და იზოლაციასთან დაკავშირებული გაცდენების გარდა, N4 უბნის უფროსმა დასაქმებულები გრაფიკგარეშე შვებულებაში გაუშვა - ცვლაში 48 ადამიანი. გარდა ამისა, ამოღებულ იქნა პოზიციების კონტროლის სენსორის მონაცემები, რომელიც ადასტურებს, რომ 2021 წლის იანვარში სამსახურიდან ადრეული გასვლების ჯამური დრო 1052,1 საათს შეადგენს. მუშაკთა სამუშაო ადგილზე გამოცხადების სწორად ორგანიზების შემთხვევაში უბანი ახალი სანგრევის დროულად მომზადებას შეძლებდა. სამუშაო ადგილის ადრე დატოვების ფაქტებმა და გრაფიკგარეშე შვებულებებმა სამუშაო ძალის შემცირება გამოიწვია.

2020 წლის ივლისიდან 2021 წლის იანვრის ჩათვლით, კომისიამ გააანალიზა მატერიალურ-ტექნიკური ფასეულობების გაცემა N4 უბანზე. შედეგად ნათელი გახდა, რომ უბანმა ახალი აღჭურვილობა და მასალები მიიღო (კერძოდ, სანგრევი ჩაქუჩები, პნევმატური საბურღები, სანგრევი ჩაქუჩის პიკები, გვირგვინები, გრეხილი საბურღი შტანგები, პიქსელები, ნიჩბები, მილები და პნევმატური შლანგები). კვლევის შედეგად გამოიკვეთა აღჭურვილობების არასწორი ექსპლუატაციისა და ხელსაწყოების განზრახ დაზიანების ფაქტებიც, რის გამოც კომპანიას 2200 აშშ დოლარის ზარალი მიადგა.

კომისიამ სამუშაო ადგილზე მტვრის კონცენტრაციასთან დაკავშირებით გაჟღერებული ინფორმაციაც განიხილა. ინფორმაცია მტვრიანობასთან დაკავშირებით ვერ იქნა ვერც დადასტურებული და ვერც უარყოფილი. როგორც წესი, სამუშაოების წარმოების პასპორტის მიხედვით, მუშებმა აუცილებლად უნდა განახორციელონ სამთო მასის მორწყვა იმისათვის, რომ დამტვერიანება არ გაჩნდეს. თუ დამტვერიანება ჩნდება ეს ნიშნავს, რომ მუშებმა არ ჩაატარეს პასპორტით გათვალისწინებული მორწყვის სამუშაო.

ამჟამად საწარმოს მენეჯმენტი კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად აგრძელებს მუშაობას, რაც ითვალისწინებს გეგმისა და სამუშაოების შესრულების მონიტორინგს, უსაფრთხოების წესების შესრულების მკაცრ კონტროლს, არასამუშაო დროს მუშების უკონტროლო გადაადგილების კონტროლს, დანადგარების რიგგარეშე ინვენტარიზაციას, გრაფიკგარეშე შვებულებებისა და არაანაზღაურებადი შვებულებების გაცემის შემცირებას და მატერიალურ-ტექნიკურ დანადგარებზე პერსონალის პასუხისმგებლობის განსაზღვრას.

ოლეგ დარბაიძე: „მშრომელი ხალხი დაფასდება და ყველა პირობა ექნებათ რომ კარგად იმუშაონ“

თებერვლის თვეში, N4 უბანზე მომხდარი ინციდენტის შემდეგ, „ძიძგურის“ შახტაზე უბნის ხელმძღვანელი შეიცვალა. ამჟამად, უბნის უფროსის მოვალეობას ოლეგ დარბაიძე ასრულებს. ბატონი ოლეგი კომისიის რეკომენდაციების სრული დაცვით გააგრძელებს მუშაობას.

ოლეგ დარბაიძე: „1986 წელს ჩამოვედი ტყიბულში და მას შემდეგ აქ ვმუშაობ. შახტაა და სულ ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები, მაგრამ უბნის მენეჯმენტს, სამთო ოსტატებს, უბნის უფროსს, მოადგილეს, თანაშემწეს, ყველას აქვს პასუხისმგებლობა. ბოლო პერიოდში გამოთქმულ პროტესტს რაც შეეხება, მუშა ნაკლებადაა დამნაშავე. რაღაც გამოგვრჩა, დროული რეაგირება ვერ მოხდა, გაგვეპარა დროში და მოხდა მუშების უკმაყოფილება. განაწესის დარღვევა ყოველთვის დანაშაულია. ადრე არ უნდა გამოხვიდე, კეთილსინდისიერად უნდა შეასრულო შენი სამუშაო. ესეც დაფიქსირდა კომისიის დასკვნაში. ამაზე კონტროლიც გვევალება და გამორიცხულია სხვას გადავაბრალოთ. ამ ყველაფერმა ერთად იჩინა თავი და გამოიწვია ის რაც მოხდა.

პირველ რიგში, საჭიროა ყველასთან მუშაობა. ალბათ, გარკვეული გადაადგილებები მოხდება ბრიგადებში, გაუმჯობესდება ინფორმაციის გადაცემა და გეგმებთან ერთად, ინფორმაცია სრულად და სწორად მიეწოდება ყველას. აუცილებელია კოლექტივის ყველა წევრი იყოს ინფორმირებული მიმდინარე სიახლეებზე. თავიდანვე გაირკვეს რა გვინდა, რა გვიშლის ხელს მუშაობაში და ა.შ. აქამდედ კონტაქტი არ იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო უბნის უფროსებსა და მუშებს შორის. ადრეც მიმუშავია უბნის უფროსად და ყოველთვის ახლო კონტაქტი მქონდა მუშასთან, კოლექტივის წევრთან. ხელმძღვანელობასთანაც საჭიროა იმ ინფორმაციის მიტანა, თუ რა აწუხებს მუშას ან ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს, რა უშლის ხელს მუშაობაში.

„ძიძიგურის“ შახტის უბნები მოცულობით დიდია, გაორებულ ფენებთან გვაქვს საქმე. ჩვეულებრივ უბანთან შედარებით, გამყვანი და წმენდითი სანგრევის მუშაც მეტია. წინა წლებთან შედარება არ არის - ტყიბულში საგანგებო მუშაო ადგილებია, ხალხი დასაქმებულია და შემოსავალი აქვთ. კონფლიქტით საქმე არ წყდება. მოლაპარაკება ყოველთვის ეფექტიანია. მთავარია გავიაზროთ, რა არის მიღწევადი და რა არა.

„ძიძიგურის“ შახტა ყველასთვის ძვირფასია. ყველას ისეთი განცდა აქვს, რომ სამსახური სახლში აქვთ. ჩემი იქ მისვლის დღიდან, სულ იმას ვგრძნობ, რომ ხალხი მოწადინებულია რომ იყოს სიმშვიდე, არაფერი გაფუჭდეს, კარგად იმუშაონ. ზოგჯერ არის, რომ ზოგიერთი პროტესტს გამოთქვამს და სხვები არ ეთანხმებიან. მაგრამ სამწუხაროდ ისე ხდება ხოლმე, რომ ისინი, ვინც მართლა მშრომელები და მოწადინებულები არიან ამაზე არაფერს ამბობენ, ერიდებათ, საერთოდ არ ჩნდებიან. დარწმუნებული ვარ, რომ მშრომელი ხალხი დაფასდება და ყველა პირობა ექნებათ რომ კარგად იმუშაონ. მაგალითის მიმცემი კი პირველ რიგში მე ვიქნები. თითოეულ თანამშრომელს ყოველთვის ყველაფერში გვერდით დავუდგები. რაც მთავარია, ყველა თანასწორი და თანაბარუფლებიანი იქნება.

ამიერიდან, აუცილებლად ჩავატარებთ რევიზიას, რომ გავარკვიოთ რა გვაქვს ადგილზე, რა გვაკლია. აუცილებლად მივანვდით ხელმძღვანელობას ინფორმაციას. ამ მომენტისთვის ხელსაწყოები საკმარისად გვაქვს. კონვეიერი, რასაც ნახშირი გამოაქვს, შეუდარებელია, მუშას საქმე გაუადვილა. ნებისმიერ ტექნიკას მოვლა სჭირდება, იმისთვის რომ ხანგრძლივად და კარგად იმუშაოს. ის რომ რაღაცეები ზიანდება, შესაძლოა იყოს დაუდევრობის ბრალი. ცვეთაც აქვს ყველაფერს და საჭიროა დროული შეცვლა. ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ გეგმაც შესრულდეს, მუშაც კმაყოფილი იყოს და ხელმძღვანელობაც, რადგან მთავარია სიმშვიდე.“

„ძიძიგურის“ შახტა მრავალწლიანი ისტორიით

ქვა-ნახშირის მოპოვების ისტორია მეოცე საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. სწორედ ქვა-ნახშირის მოპოვებას უკავშირდება ტყიბულის, როგორც ქალაქის განვითარებაც. „ძიძიგურის“ შახტა, მსოფლიო ომის პერიოდში, 1942 წელს გაიხსნა და იმ დროს „ლენინის სახელობის შახტის“ სახელით იყო ცნობილი. ის ახლაც ფუნქციობს და „მინდელის“ შახტთან ერთად ერთ საბადოს უკავშირდება. „მინდელის“ შახტა შედარებით ახალია (1973 წელს შეიქმნა), ამიტომ არავინ გვიწყენს თუ ვიტყვით, რომ „ძიძიგურის“ შახტს დიდი ისტორია აქვს.

წლების წინ, „ძიძიგურის“ შახტზე 2000-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული. მეშახტეები ძირითადად იქვე, შახტის გარშემო აშენებულ კორპუსებში ცხოვრობდნენ. წლების განმავლობაში ტყიბულმა და ტყიბულის შახტებმა არაერთი რთული პერიოდი გაიარა. იყო დრო, როდესაც შახტები სრულად გაჩერდა და ქალაქიც ხალხისგან დაიცალა. თუმცა, დღეს, ორივე შახტა გამართულად მუშაობს. „საქნახშირის“ შახტების განვითარების პროგრამის წყალობით კი გაუმჯობესდა უსაფრთხოება, გაიზარდა ხელფასები. წინ კიდევ ბევრი გეგმაა, რომელთა განხორციელებაშიც თითოეული თანამშრომლის ჩართულობა მნიშვნელოვანია.

„ძიძიგურის“ შახტა აქამდე თუ გაფიცვებთან და არეულობასთან ასოცირდებოდა, იქ სტუმრობის შემდეგ სულ სხვა სურათი დაგვხვდა - შენობაში, სადაც ამჟამად 250-მდე მეშახტე მუშაობს, ბევრი ღიმილიანი სახე და სტუმართმოყვარე მასპინძელი აღმოვაჩინეთ. შახტის თანამშრომლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ერთი ოჯახივით არიან. „ძიძიგურის“ შახტზე კი ეს უფრო მეტად იგრძნობა. აქ, ისევე როგორც „მინდელის“ შახტზე, სამუშაოები სტანდარტული გრაფიკით მიმდინარეობს - ცვლის დაწყებამდე საუზმე ან ვახშამი ახლადგახსნილ სასადილოში, სპეც ტანსაცმლის და აღჭურვილობის აღება, მომზადება, გეგმის მიღება და შემდეგ შახტში ჩასვლა. იქიდან ამოსულებს კი ცხელი შხაპი და გემრიელი სადილი ელოდებათ.

შახტში წასვლამდე, რამდენიმე მეშახტეს გავესაუბრეთ, მოვისმინეთ რეალური ისტორიები. ისტორიები ადამიანების, რომლებიც ყოველდღე ბუნებასთან ჭიდილში არიან, მოიპოვებენ ქართულ დოვლათს და წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მათთვის საკუთარი საქმე და სამსახური მნიშვნელოვანია, პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ პროფესიას, აფასებენ ყველა წინ გადადგმულ ნაბიჯს და უკეთესის მოლოდინიც აქვთ.

მარადი ჩკიმიკოჩა: „ადამიანის ბუნება ასეთია - რაც უფრო მეტი აქვს, მით მეტი უნდა, მოთხოვნილებები ეზრდება. ეს კარგიცაა, ნიშნავს, რომ პროგრესისკენ მივდივართ.

ეს შახტა 1942-45 წლებში გაიხსნა. თავიდან აქ ზედაპირული კარიერები იყო. დაახლოებით 2500 ადამიანი იყო დასაქმებული. ჩვენს გარშემო რაც კორპუსებია, ყველა დასახლებული იყო. 240 ოჯახი ცხოვრობდა ამ ტერიტორიაზე. „ძიძიგურზე“ ადრე 8 უბანი იყო, ახლა 1 უბანია. წყალქცევის უბანი ცალკეა, მომპოვებელი ცალკე. წყალქცევის უბანი უწყვეტად უნდა მუშაობდეს, რომ შახტა არ დაიტბოროს. „სტალინის“ გაუქმებულ შახტაზეც ხდება მუშაობა რათა არ დაიტბოროს და სხვა შახტებიც არ დატბოროს.

ჩვენს შახტაზე სტანდარტული მუშაობის რეჟიმი გვაქვს. ყველას თავისი მოვალეობა აქვს: ნაწილი მიდის სანგრევში, ნახშირის მოსაპოვებლად, ზოგი „სბოიკაზეა“ პასუხისმგებელი, ზოგი დატვირთვაზე. ჩვენი პროდუქცია „მინდელის“ შახტზე გადადის. ჩვენ აქ მოვიპოვებთ, იქით ვუშვებთ და იქიდან ამოდის ზემოთ.

სამუშაო ოთხ სმენიანია. 5:30 საათზე და 11:30 საათზე მოვდივართ. ვიღებთ „ნარიადს,“ ვსაუზმობთ, ვვახშმობთ. ვიცვამთ სპეც ტანსაცმელს, ვიღებთ აღჭურვილობას და მივდივართ შახტაში. კარგი პირობები გვაქვს - კარგი საჭმელი, ახალი სასადილო, საშხაპეები, ცხელი წყალი... სასადილოს გახსნამ კი დამატებით დაასაქმა ადამიანები.“

გიორგი გაბრიაძე: „55 წლის ვარ და დაახლოებით 25 წელია შახტზე ვმუშაობ. პირველად 1984 წელს დავიწყე. როგორც კი სკოლა დავამთავრე აქ მოვედი. პირველად ელექტრო ზეინკალი ვიყავი. შემდეგ ჯარში გამიწვიეს. ორი წლის მერე ჩამოვედი და მომპოვებელ უბანში დავიწყე მუშაობა. ამ წუთას გამყვანი ვარ. მეუღლე პედაგოგია. მე რომ მუშაობა დავიწყე, 1500-მდე ადამიანი მუშაობდა, ხალისი და ჟრიამული იყო. მერე სიტუაცია აირია და 16 წელი უმუშევარი ვიყავი. 10 წელია რაც დავბრუნდი. მიხარია წინსვლას რომ ვხედავ, ბოლო დროს უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა. ჩიპები გვაქვს, აფეთქების მომენტში უსაფრთხო ადგილას გამოვდივართ. ადრე უსაფრთხოება ასე არ კონტროლდებოდა.“

გაიოზ გიორგაძე: „ვშრომობთ, ოჯახებს ვარჩენთ, ვაცოცხლებთ ტყიბულს. ამის ხელის შეშლა არ შეიძლება. არის რაღაცეები, რის გაკეთებასაც დრო სჭირდება. კომპანია რომ გაჩერდეს და თქვას, სანამ ამას გავაკეთებთ დაისვენეთ, არ იმუშაოთო, რა უნდა ქნას მერე ხალხმა? ვინ გასცემს ტყიბულელებს პასუხს? თან უნდა ვიმუშაოთ და თან წინ უნდა წავიდეთ. ეს ციკლი არ უნდა მოიშალოს. „საქნახშირი“ რომ არ იყოს, ტყიბული დაცლილი იქნებოდა. არის ოჯახები, საიდანაც შახტში რამდენიმე წევრია დასაქმებული. ბავშვები აქვე დადიან სკოლაში. ჩვენთან საუკეთესო სკოლებია, საიდან აღარ ჩამოჰყავთ ბავშვები აქ სასწავლებლად. მაგალითად, მეხუთე საშუალო სკოლა, რომელსაც დიდი ტრადიცია აქვს და განათლებულ თაობებს ზრდის.

როგორც თითქმის ყველა ტყიბულელი, მეც მეშახტეების ოჯახიდან ვარ. ტრადიცია არ დავარღვიე და შახტში მუშაობა გავაგრძელე. თითქმის 11 წელია აქ ვმუშაობ. მანამდე თავდაცვის სამინისტროში და შინაგან საქმეთა სამინისტროში ვმუშაობდი. ჯარიც და ეს სამუშაოც დიდ ადრენალინს შეიცავს. ადრე ცოტა მიტოვებულად ვგრძნობდით თავს, მაგრამ ბოლო დროს ბევრი რამ გაკეთდა. ერთ დღეში ყველაფერი ვერ შეიცვლება, ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. უკეთესობა ყველა მხრივ იგრძნობა და კიდევ უფრო მეტს ველოდებით. იყო უკმაყოფილობები, მაგრამ, ასე თუ ისე, შევჯერდით და ყველაფერი გამოსწორების გზაზეა. უსაფრთხოება მეტად დაიხვეწა, ხალხიც უფრო მეტად ინდომებს. ამდენი ავარიების შემდეგ მეშახტეებიც მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან უსაფრთხოებას. ჩვენ თვითონ თუ არ დავიცავით წესები, ვერანაირი მოწყობილობა ვერ გვიშველის. ჩვენზეა დამოკიდებული მთელი ქალაქი, ასევე ქალაქგარეთ გასული შვილები, შვილიშვილები. ამ სამსახურით ვარჩენთ ოჯახებს.

ყოველი დღე უკეთესობისკენაა. იმედიც გვაქვს, რომ უფრო უკეთესად ვიქნებით. ხელფასებმა მოიმატა, უსაფრთხოება მეტად კონტროლდება, მეტის გამომუშავების შანსიც არის. ნებისმიერ აღჭურვილობას თავისი მუშაობის ვადა აქვს და მთავარია დროულად გამოიცვალოს ყველაფერი რომ არაფერმა შეგვიშალოს ხელი. უბანმა თავად უნდა ჩაატაროს აუდიტი, რომ სათადარიგო ნაწილები დროულად მიეწოდოს. ახლა ამას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. არის რაღაცეები, რომლის დაძლევაც ასე, ერთი ხელის მოსმით არ ხდება, მაგრამ ხელმძღვანელობა ყოველდღე მოდის ჩვენს შახტაში, გვეხმარებიან, მდგომარეობას აკონტროლებენ.

შახტა იხურებაო რომ თქვეს, ხალხი პანიკაში იყო, დახურვის გვეშინოდა. სამუშაო თუ არ იქნება, ქალაქი დაიცლება. ამიტომ არის, რომ სწორი ინფორმაცია ძალიან საჭიროა, კომუნიკაციის ნაკლებობა არ უნდა იყოს. კვირა არ გავა, რომ ორჯერ, სამჯერ, დირექტორი შახტაში არ ჩავიდეს, არ დაათვალიეროს სიტუაცია, გააკონტროლოს უსაფრთხოება.“

კობა სამაკაშვილი: „ვფიქრობ, რომ არასტაბილური თუ იქნები, ნახშირი თუ შეუწყვიტე გამსაღებელს, გაფიცვა თუ მოაწყვე და შეაფერხე მოპოვება, აღარავის ენდომება შენი პროდუქცია.

გაფიცვების დროს ყველა აგრესიულია, თორემ ისე, ძალიან კეთილი და კარგი კოლექტივია. ჩემი აზრით, ხშირად, შეიძლება არ ეთანხმებოდნენ, მაგრამ უბრალოდ ერთმანეთს უჭერენ მხარს. 1000 ადამიანიდან შეიძლება ყველა არ აყვეს ერთმანეთს. როგორ შეიძლება წინსვლა არ დაინახო. ჯერ მარტო, ეს ღონისძიებები რომ ჩატარდა: თევზაობა, ჭადრაკი, ნარდი, ფეხბურთი... ძალიან კარგი იყო და არცერთ კომპანიას არ გაუკეთებია ეს რაც ამ კომპანიამ გააკეთა. „ძიძგურის“ შახტა ფეხბურთის ჩემპიონატზე ფინალში გავიდა, რაც ძალიან დასამახსოვრებელი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანია ხალხზე ზრუნავს. ჩვენი მიზანია უსაფრთხოდ ვიმუშაოთ, წესები დავიცვათ და მოვიპოვოთ ბევრი პროდუქცია, რომ მეტი ანაზღაურება მივიღოთ.“

პოლონეთში წასული მეშახტეები სამუშაოდ “საქნახშირში” დაბრუნდნენ!

ტყიბულელი მეშახტეები რამდენიმე წლის წინ პოლონეთში სამუშაოდ წავიდნენ და ქალაქ კატოვიცეს შახტში დასაქმდნენ. მათი ნაწილი საქართველოში დაბრუნდა და ტყიბულის შახტში გააგრძელა მუშაობა, ნაწილი ისევ პოლონეთის შახტებში მუშაობს. ტყიბულში დაბრუნებული მეშახტეები ამბობენ რომ, მათ პოლონეთში წასვლა ოჯახის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაწყვიტეს. ამას ხელი იმ ფაქტმაც შეუწყო, რომ იმ პერიოდში, ტყიბულის შახტში რამდენიმე ავარია მოხდა და საწარმოში მუშაობა შეჩერდა. მათთვის გაურკვეველი იყო როდის და რა პირობებით განახლდებოდა მუშაობა.

მეშახტეებმა პოლონეთში რამდენიმეწლიანი მუშაობის შემდეგ ისევ სამშობლოში, საკუთარ ოჯახში დაბრუნება გადაწყვიტეს. მეშახტეები ამბობენ, რომ ტყიბულის შახტში, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესებული პირობები, გაძლიერებული უსაფრთხოება და გაზრდილი ხელფასები დახვდათ.

კოტე ჩხიტუნიძემ „მინდელის“ სახელობის შახტში მუშაობა 2016 წელს დაიწყო და სამი წლის მანძილზე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. პოლონეთში სამუშაოდ 2019 წლის მარტში წავიდა. მან მალევე შეისწავლა პოლონური ენა, რამაც იქ ცხოვრება და მუშაობა გაუმარტივა. კოტე პოლონეთში სამუშაო პირობებით და ანაზღაურებით კმაყოფილი იყო მაგრამ მაინც სამშობლოში გადაწყვიტა დაბრუნება. „საზღვარგარეთ სამუშაოდ იმიტომ წავედი, რომ აქ არ მქონდა საკმარისი ხელფასი ოჯახის შესანახად. თან უფრო უსაფრთხო სამუშაოს ვეძებდი. საქართველოში ოჯახის გამო დავბრუნდი, მყავს მეუღლე და ორი შვილი, უფროსი შვიდი წლისაა, უმცროსი ორის. ჩავთვალე, რომ ჯობს მათ გვერდით ვიყო, ვიდრე ოჯახიდან მოშორებით, სხვა ქვეყანაში. ტყიბულში 2020 წელს დავბრუნდი და მალევე დავიწყე მუშაობა „მინდელის“ სახელობის შახტში. აქ წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესებული სამუშაო პირობები და მომატებული ხელფასი დამხვდა“ -გვითხრა კოტე ჩხიტუნიძემ.

მურთაზი მესხორაძემ ტყიბულის შახტში მუშაობა 2009 წელს დაიწყო, რამდენიმე წელი „მინდელის“ შახტში, გვირაბგამყვანის პოზიციაზე მუშაობდა, შემდეგ ნახშირის მოპოვებაზე. შახტში საქმიანობა 2018 წელს შეწყვიტა და სამუშაოდ პოლონეთში წავიდა, ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და იქაური სამთო მრეწველობის გასაცნობად, სადაც 2 წელი იმუშავა.

ყველაფრის მიუხედავად, მურთაზმა სამშობლოში დაბრუნება და ტყიბულის შახტში მუშაობა გადაწყვიტა. „საქართველოში 2020 წელს დავბრუნდი, რადგანაც ჩემს ქვეყანაში და ქალაქში ცხოვრება მირჩევნია. მყავს მეუღლე, ორი შვილი - ათი და თორმეტი წლის. მინდა მათთან ერთად, ჩემს ოჯახში ვიყო. სანამ პოლონეთიდან დავბრუნდებოდი, მეგობრებისგან გავიგე, რომ ტყიბულის შახტში სამუშაო პირობები გაუმჯობესდა და ხელფასებმაც მოიმატა, ამან უფრო გადამაწყვეტინა მშობლიურ ქალაქში დაბრუნება.

პოლონეთში წასვლამდე ცხრა წელი ვიმუშავე ტყიბულის შახტში. რომ დავბრუნდი ნამდვილად დამხვა ცვლილელები - გასულ წლებთან შედარებით, როგორც უსაფრთხოების, ასევე სახელფასო ანაზღაურების მხრივ მგომარეობა მართლაც უკეთესობისკენ შეიცვალა. ყურადღება ექცევა სპეც ტანსაცმელს, გახსნილი არის კარგი კვების ობიექტი, სადაც დასაქმებულებს კვება უფინანსდებათ. იმედი მაქვს, რომ მომავალში უფრო გაუმჯობესდება სამუშაო პირობები და დაფასებული იქნება მეშახტის შრომა“

გიორგი გვეტაძეც ერთ-ერთი პოლონეთიდან დაბრუნებული მეშახტეა. „მინდელის“ შახტში მუშაობა 2009 წელს, 19 წლის ასაკში დაიწყო და ცხრა წლის მანძილზე სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა. 2018 წლის ოქტომბერში სამუშაოდ პოლონეთში წავიდა, სადაც ერთი წელი იმუშავა.

„პოლონეთში ხელფასისა და სამუშაო პირობების გამო წავედი, მაგრამ მაინც ჩემს ქვეყანაში დაბრუნება ვარჩიე. ორი მცირეწლოვანი ვაჟი მყავს და მსურს საქართველოში გაიზარდონ, აქ ისწავლონ სკოლაში, ახლოს ვიყოთ ნათესავებთან და მეგობრებთან.

პოლონეთში რომ ვიყავი მითხრეს, რომ შახტში სამუშაო პირობები გაუმჯობესებული იყო. ამიტომ, 2019 წლის დეკემბერში ტყიბულის შახტში დავბრუნდი სამუშაოდ. აფეთქების დროს, უბანში აღარ ვჩერდებით, მოშორებით გამოვდივართ და უფრო დაცულები ვართ. ადრე ეს არ კონტროლდებოდა. გარდა ამისა, მომატებულია ხელფასები. დაბრუნების შემდეგ „მინდელის“ შახტში მნგრევლად ვმუშაობ.“

58 წელი სამთო სფეროში - ბადრი ჩიხლაძის ისტორია

ბადრი ჩიხლაძე მრავალი წელია სამთო დარგში, ელექტროფიკაციის მიმართულებით საქმიანობს.
შახტში მუშაობა 17 წლის ასაკში, მუშად დაიწყო და წლების მანძილზე სხვადასხვა პოზიციებზე მუშაობდა. დამსახურებულად იკავებდა საპასუხისმგებლო თანამდებობებს ელექტროფიკაციის სფეროში. ბატონი ბადრი მრვალწლიანი, რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობის შესახებ გვესაუბრა:

„1945 წლის 10 მარტს, ტყიბულში, მეშახტის ოჯახში დავიბადე. ტყიბულის V საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ქუთაისის სამთო ტექნიკუმში გავაგრძელე, რომელიც 1963 წელს მიწისქვეშა საბადოების დამუშავების სპეციალობით დავამთავრე. ტექნიკუმის დასრულების შემდეგ განაწილებით ტყიბულის მაშინდელი „ლენინის“ სახელობის შახტში მივედი სამუშაოდ. რადგან სრულწლოვანი არ ვიყავი, შახტში სამუშაოდ არ გამიშვეს და მუშაობა ზედაპირზე, ელექტრო-მექანიკურ ცეხში, დამხმარედ დავიწყე. 18 წლის რომ გავხდი, შახტში ვენტილაციაზე (განიავებაზე) გადამიყვანეს სამუშაოდ. 1964 წელს კი ტყიბულში პოლიტექნიკური ინსტიტუტის (გეპეის) ფილიალი გაიხსნა სადაც სამთო ფაკულტეტის სამარქშნეიდერო მიმართულებაზე ჩავაბარე. შემდეგ კაზახისტანში გამიწვიეს ჯარში (სამხედრო სავალდებულო სამსახურში), სადაც 3 წელი ვმსახურობდი რაკეტულ გასაიდუმლოებულ ნაწილში. ჯარიდან დაბრუნებისთანავე სწავლა ისევ ტყიბულის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (გეპეის) ფილიალში გავაგრძელე, ოღონდ ელექტროობაზე. ინსტიტუტი 1972 წელს დავამთავრე, სამთო სამუშაოების ელექტროფიკაციის სპეციალობით.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, მალევე დაიწყეთ მუშაობა?

1967 წელს, ტყიბულში შეიქმნა ახალი ორგანიზაცია „საქ ენერგო ნახშირი“ რომელიც ელექტრო მოწყობილობას ემსახურებოდა. ჩემი სპეციალობაც ეგ იყო და დავიწყე მუშაობა. შემდეგ საქართველლოში შეიქმნა „ელექტროობის გამართვა-გაწყობის სამმართველო,“ რომლის ერთ-ერთი ფილიალი ტყიბულში

იყო. ვემსახურებოდით ტყიბულის ოთხივე შახტს და ქვა-ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკას, ასევე, საქართველოში არსებულ შახტებს-ახალციხეში, ტყვარჩელში, ვალეში და ჭიათურის მაღაროს. მივლინებით სამუშაოდ წასვლა გვიწევდა საბჭოთა კავშირის ქვეყნებშიც. ამ ორგანიზაციაში ვიმუშავე 1967 წლიდან 1999 წლამდე, რამდენიმე წელი მისი ხელმძღვანელიც ვიყავი.

1999 წლიდან 2001 წლამდე ტყიბულის სააქციო საზოგადოება ტემსის დირექტორი გახლდით. შემდეგ ამავე ორგანიზაციაში ლაბორატორიის გამგე და უფროსი გავხდი, სადაც 2007 წლამდე ვიმუშავე.

ამის შემდეგ „საქნახშირს“ დაუბრუნდით?

„საქნახშირში“ 2007 წელს დავბრუნდი, მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილედ დავინიშნე და დღემდე ამ პოზიციაზე ვმუშაობ. წლებია ვსაქმიანობ ელექტროფიკაციის მიმართულებით, რაც გულისხმობს ელექტრო მომარაგების უზრუნველყოფას, როგორც შახტში, ისე ზედაპირზე. ადრე შახტში ჩასვლაც მიწევდა (როგორც ტყიბულში, ისე საქართველოს სხვა შახტებში), ახლა ძირითადად ზედაპირულ სამუშაოებს ვუწევ მეთვალყურეობას, ვმუშაობ ნახაზებზე.



პროფესიული საქმიანობის რომელ მნიშნელოვან პასაჟებს გაიხსენებთ?

გავიხსენებ ირანში საქმიანობას, რომელიც ჩემთვის ერთ-ერთი მნიშველოვანი სამსახური იყო, სადაც ნახშირის მრეწველობის ხაზით 1981 წელს, მივლინებით წავედი. ქალაქ კერმანში 2 წელზე მეტი ვიმუშავე - შახტა „ბაბნიზუში“ და ფაბრიკაში ელექტროობას ვამონტაჟებდი. ამ ხნის მანძილზე საქართველოში არ ჩამოვსულვარ, მხოლოდ ერთხელ იყო მეუღლე ჩამოსული ჩემთან ირანში.

ჩემი 58 წლიანი პროფესიული საქმიანობის განმავლობაში (როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირის ქვეყნებში) მრავალი მნიშვნელოვანი საქმე მაქვს გაკეთებული. მაგალითად, ტყიბულში საბაგირო რომ გაკეთდა „ცხრაჯვარის“ მიმართულებით, ელექტრო სამუშაოები ჩვენმა ორგანიზაციამ ჩაატარა. მაგისტრალის ელექტრო მონტაჟზე, უშულოდ ჩემი ხელმძღვანელობით, ჩვენი სპეციალისტები მუშაობდნენ. წლები იმუშავა საბაგირომ, მაგრამ მერე დაზიანდა, ვეღარ მიაქციეს ყურდაღება და გაჩერდა. ასევე, უშუალოდ ჩემი დამონტაჟებულია ამწე მანქანის ელექტრო ნაწილი ახალციხის შახტში. წლების მანძილზე მრავალი ასეთი საქმეები მაქვს გაკეთებული პროფესონალ გუნდთან ერთად.

თქვენს მეუღლეზე მოგვიყევით...

1974 წელს ვიქორწინე დალი ტურძილაძეზე, პროფესიით პედაგოგია და წლების მანძილზე მუშაობდა ტყიბულის N6 და N2 საშუალო სკოლებში. ვცხოვრობთ ტყიბულში. გვყავს 1 შვილი და 2 შვილიშვილი. შვილი, მამუკა ჩიხლაძე ცხოვრობს და საქმიანობს თბილისში, მეუღლესთან და შვილებთან ერთად.

თქენი წინაპრები თუ საქმიანობდნენ სამთო დარგში?

მამა, შოთა ჩიხლაძე ბუნდოვნას მახსოვს. მეშახტე იყო, „ლენინის“ შახტის მთავარი ენერგეტიკოსი. მივლინებით უკრაინაში გააგზავნეს და საუბედუროდ იქ წყალში დაიხრჩო. მაშინ 28 წლის გახლდათ. ამანაც იქონია ჩემზე გავლენა, მეც მის პროფესიას გავყევი. ბიძა, პოლიკარპე ჩიხლაძე, გელათის მაღაროში უბნის უფროსი და პირველი სამთოელი იყო.

ვის გაიხსნებთ შახტში თქვენი საქმიანობისას, ვისთანაც წლების მეგობრობა გაკავშირებთ?

წლების მანძილზე ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი და დავმეგობრდით. ერთ-ერთი გია თაბაგარია, ის შახტის მთვარი ენერგეტიკოსია, მე მისი მოადგილე ვარ. წლებია ერთად ვსაქმიანობთ. მანამდეც ვიცნობდი გიას და დღემდე გრძელდება ჩვენს შორის ეს პროფესიული და მეგობრული კავშირი. საერთოდ, ყოველთვის საუკეთესო გუნდთან ერთად მიწევდა მუშაობა.

რას ნიშნავს თქვენთვის ტყიბული? რამდენად შეიცვალა ამ წლების განმავლობაში?

ტყიბულში დავიბადე და გავიზარდე, ჩემს თვალ წინ აშენდა და განვითარდა. ეს იყო ერთ-ერთი მოწინავე ქალაქი საქართველოში, აქ იყო 4 შახტა, ქვა-ნახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკა, 7 კინოთეატრი, მუშაობდა ფაბრიკა-ქარხნები. ქალაქს ჰქონდა საუკეთესო მომარაგება. დღეში რამდენჯერმე დადიოდა ტყიბული- ქუთაისის და ტყიბული-თბილისის მატარებელი, რაც სამწუხაროდ აღარ არსებობს. ხალხიც გაცილებით მეტი იყო ვიდრე ახლა. ვისურვებდი, რომ ტყიბულში ასეთი ცხოვრება დაბრუნდეს. ახლა ეს ერთი შახტა რომ არ იყოს ტყიბულში, ქალაქი ვერც იარსებებდა და მოსახლეობისგან დაიცლებოდა. შახტში 1200 -მდე ადამიანია დასაქმებული, რომლებიც კიდევ რამდენიმე ათას ადამიანს ინახავენ.

მადლობა კომპანიის ხელმძღვანელობას შახტის გამართული მუშაობისთვის. რომ არა მათი ზრუნვა, შახტები დაიხურებოდა და ქალაქი ხალხისგან დაიცლებოდა. ყველას მშვიდობიან და ბედნიერ ქვეყანაში ცხოვრებას ვუსურვებ.“

კომპანია “საქნახშირი“ ულოცავს ბადრი ჩიხლაძეს დაბადების დღეს. ჯამრთელობას და წარმატებებს უსურვებს.

ჯონი ჩქიმიკოჩა - მასწავლებელი, მეშახტე და სპორტსმენი

"შახტის და სკოლის ხელმძღვანელობის, კოლეგების, მეგობრების, თანამშრომლების მხრიდან ხელშეწყობა რომ არ იყოს, შახტში და სკოლაში ერთდროულად საქმიანობას ვერ შევძლებდი. მათი დახმარებით არის, რომ დღეს ორივე სამსახურში ვმუშაობ. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს ვინც წლების მანძილზე ჩემს თანადგომას გამოხატავს."

ტყიბულის შახტში სხვადასხვა პროფესიის ადამაინები არიან დასაქმებულები - ექიმები, სპორტსმენები, პედაგოგები, ისტორიკოსები... „საქნახშირში" მუშაობის პარალელურად ისინი სხვა მიმართულებით მუშაობასაც ახერხებენ, რაც ძალიან მნიშნელოვანია მათი ეკონომიკური სტაბილურობისთვის. ამჟამად ტყიბულელ მეშახტეს, პედაგოგს და სპორტსმენს, ჯონი ჩქიმიკოჩას გაგაცნობთ. კეთილი ადამიანების თანადგომით ის შახტში და სკოლაში ერთდროულად ახერხებს მუშაობას. ასევე ეწევა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას.

ბატონი ჯონი ტყიბულში დაიბადა და გაიზარდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური გაიარა. ჯარიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული რამდენიმე თვე ტყიბულის საფეხბურთო კლუბ „მეშახტეში" თამაშობდა. ამ პერიოდში თბილისის ფიზკულტურის სასწავლებელში ჩაირიცხა და საცხოვრებლად ტყიბულიდან თბილისში გადავიდა. სტუდენტობის პერიოდში რამდენიმე წელი, საფეხბურთო კლუბ „გამარჯვებაში" თბილისის პირველობაზე თამაშობდა. ფეხბურთის თამაში თორმეტი წლის ასაკიდან, ტყიბულის სპორტული სკოლის გუნდში დაიწყო, თოთხმეტი წლიდან ამავე სკოლის მოზარდების გუნდში გადავიდა, სადაც 2 წელი ითამაშა. თექვსმეტი წლიდან საფეხბურთო კლუბ "მეშახტეს" ბაზაზე შექმნილ „კოლმეურნეს" გუნდში იყო, რომელიც საქართველოს პირველობაზე თამაშობდა.
ფიზკულტურის ტექნიკური სასწავლებელი ჯონი ჩქიმიკოჩამ 1990 წელს, ტრენერ-პედაგოგის კვალიფიკაციით წარმატებით დაასრულა და ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთის საჯარო სკოლაში, ფიზკულტურის მასწავლებლად დაინიშნა. შემდეგ სოფელ საწირის და ტყიბულის N4 საშუალო სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. 1998 წლიდან დღემდე ტყიბულის N5 საჯარო სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად მუშაობს. ოცდაათი წელია ღირსეულად ემსახურება პედაგოგიურ საქმიანობას, მისი აღზრდილები კი დღეს უკვე წარმატებული ადამიანები არიან.
ჯონი ჩქიმიკოჩას მეუღლე, მადონა ბუცხრიკიძე პროფესიით პედაგოგია. ჰყავთ ორი გოგონა. ბაია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტია, ოლიკო კი ტყიბულის მეხუთე საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე.

ბატონმა ჯონიმ „ძიძიგურის" სახელობის შახტში 2010 წელს დაიწყო მუშაობა, ვენტილაციისა და უსაფრთხოების უბანზე სამთო ოსტატად. 2020 წლის თებერვლიდან სამუშაოდ „მინდელის" შახტზე გადავიდა.

ჯონი ჩქიმიკოჩა პედაგოგობას და მეშახტეობას ერთმანეთს წარმატებით უთავსებს. შახტში და სკოლაში მუშაობასთან ერთად, ბატონი ჯონი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასაც ეწევა. თერჯოლის რაიონის სოფელ „ვარდიგორაში" მშობლიური სახლი აქვს, სადაც ახლა მისი დედა ცხოვრობს. სამსახურიდან თავისუფალ დროს სოფელში მეუღლესთან და შვილებთან ერთად, მამაპაპისეულ მიწის ნაკვეთზე გაშენებულ ვენახს და სიმინდის ყანას უვლის.

ტყიბულელი სპორტსმენები ვერცხლის და ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ!

თბილისში სამბოს ჩემპიონატი გაიმართა. ტყიბულის სპორტული ცენტრის ინფორმაციით, 2001 - 2002 წწ. დაბადებულთა შორის **ვლად გაბრიაძემ** (მწვრთნელი შალვა ბიბილაშვილი) წარმატებით იასპარეზა (მძიმე წონაში) და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ვლადისთვის ეს პირველი მასშტაბური ჩემპიონატია, სადაც წარმატებით იასპარეზა და ბრინჯაოს მედალი მოუტანა მშობლიურ ქალაქს.

2021 წლის საქართველოს ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის, რომელშიც საქართველოს რეგიონებიდან 121 მოკრივე მონაწილეობდა, ტყიბულელი მოკრივე **მამია ობოლაძე** 75 კგ წონით კატეგორიაში (მწვრთნელი გია დვალი), ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. მოკრივე აყვანილია საქართველოს ნაკრებში და იწყებს მზადებას ევროპის პირველობისთვის, რომელიც 2021 წელს თბილისში გაიმართება.

ილია სულამანიძე,
თბილისის გრანდ სლემის ვერცხლისმედალოსანია!

19 წლის ტყიბულელმა ფალავანმა გრანდ სლემზე, კარიერაში პირველი ვერცხლის მედალი მოიპოვა.

"საქნახშირი" ულოცავს ქართველ სპორტსმენებს გამარჯვებას და კიდევ უფრო მეტ წარმატებას უსურვებს!

შახტში ნაპოვნი სიყვარული

თამარ ბრეგაძე ტყიბულში, მეშახტის ოჯახში გაიზარდა. დამთავრებული აქვს ქუთაისის ეროვნული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ეკონომისტის კვალიფიკაციით.

თამარმა „მინდელის" შახტის სატაბელოში მუშაობა 2013 წელს დაიწყო და დღემდე სატაბელოს უფროს ოპერატორად მუშაობს. მანამდე, ექვსი თვე ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურში მუშაობდა.

მეუღლე, **მირზა ქარქაშაძე** 10 წელია შახტში მუშაობს, განიავების უბნის უფროსის მოადგილის პოზიციაზე. ჰყავთ ორი შვილი. მათი ოჯახის შექმნა სწორედ შახტას უკავშირდება:
„როდესაც „მინდელის" შახტის სატაბელოში დავიწყე მუშაობა, მომავალი მეუღლე მალევე გავიცანი, აქ მუშაობდა მეშახტედ. სამსახურში მასთან შეხვედრა ხშირად მიწევდა, შეგვიყვარდა ერთმანეთი და ერთ წელიწადში დავქორწინდით. ჩვენი სიყვარულის ამბავი შახტში დაიწყო, შახტამ დაგვაკავშირა ერთმანეთთან. დღეს ტკბილი და ბედნიერი ოჯახი გვაქვს, გვყავს ორი შვილი, 4 წლის ლაზარე და 3 წლის გაბრიელი.

სხვათა შორის, ჩემი მამამთილიც შახტში მუშაობს, სმენის ინჟინერია. ოჯახის ყველა სრულწლოვანი წევრი შახტში ვართ დასაქმებული. ბავშვების გაზრდაში სამივე ერთმანეთს ვეხმარებით - როცა მე ვმუშაობ ბავშვებს ჩემი მეუღლე ან მამამთილი იტოვებენ და უვლიან. ასევე, ძალიან გვეხმარებიან და ხელს გვიწყობენ როგორც ჩემი, ასევე მეუღლის თანამშრომლები, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მათ.

მეშახტის ოჯახში გავიზარდე, შახტში ვმუშაობ და მეშახტეთა ოჯახს წარმოვადგენ. მამაჩემიც მეშახტე იყო, გიორგი ბრეგაძე. 2012 წლის 2 მარტს, დიდი აფეთქება რომ მოხდა "მინდელის" შახტში, მაშინ დაიღუპა, რაც ჩემი ცხოვრების დიდი ტრაგედიაა. თავიდან მძიმე გასახსენებელი იყო ჩემთვის შახტა, მაგრამ შემდეგ აქ რომ დავიწყე მუშაობა, გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე, დავქორწინდით და დღეს მეშახტეთა დიდი და ბედნიერი ოჯახი გვაქვს. ასევე, შახტა არის ჩემი მეორე ოჯახი, სადაც ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი და დავმეგობრდით."

„საქნახშირში" სპორტული ღონისძიებებისთვის მზადება დაიწყო!

„საქნახშირის" თანამშრომლები ფეხბურთის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მოსამზადებელი ვარჯიშები ორი კვირაა დაიწყო. მალე კომპანია თანამშრომლებს სპორტული ღონისძიებების ჩატარების განრიგს წარუდგენს. სავარაუდოდ, წინა წლის მსგავსად, ფეხბურთის ჩემპიონატი აგვისტოში ჩატარდება, ხოლო ფინალი კი აგვისტოს ბოლოს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ გასულ წელს კომპანიის თანამშრომლებს შორის ნარდის, ჭადრაკის და ფეხბურთის ჩემპიონატი გაიმართა. ასევე მოეწყო სპორტული თევზაობის ტურნირი. შეჯიბრის გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცათ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტში წელს დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამუშაოები დაიწყო

მუნიციპალიტეტის მერმა, თემურ ჩუბინიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ, ნატალია კობახიძემ, მაჟორიტარ დეპუტატთან, ბეჟან წაქაძესთან ერთად მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელეს და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრნენ.

მაჟორიტარი დეპუტატი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები #3 საბავშვო ბაღში იმყოფებოდნენ, რომლის რეკონსტრუქცია -რეაბილიტაცია უკვე დაიწყო. ისინი ობიექტებზე არსებულ ვითარებას გაეცვნენ და მშენებლებისგან სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია მიიღეს.
პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია 4 ჯგუფზე გათვლილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობა, რომლისთვისაც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 540 000 ლარი იხარჯება. ამ დროისთვის სადემონტაჟო სამუშაოები მიმდინარეობს. ახალი ბაგა-ბაღი სრულად იქნება გაზიფიცირებული, წყალმომარაგებითა და ელექტოენერგიით უზრუნველყოფილი, ასევე განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული.

ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ახობაძის ქუჩაზე, N3 და N6 საცხოვრებელი კორპუსების შიდა ეზოების ბეტონის საფარით მოეწყობის სამუშაოებიც მოინახულეს. ეზოების რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 166 441 ლარს შეადგენს.



სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები დასრულდა

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ,,სოფლის მხარდაჭერის ფროგრამის ფარგლებში“ დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით, დასახლების საერთო კრებები და საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართა. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით, პროექტების შერჩევა ეფუძნება მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას, სადაც მოქალაქეები თავად ირჩევენ პრიორიტეტულ მიმართულებებს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, წელს ტყიბულის მუნიციპალიტეტს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დასაფინანსებლდ 532 ათასი ლარი გამოეყო, რომელიც ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით 47 სოფელზე გადანაწილდა.

პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები განსაზღვრულია და მათ შორისაა:

- *სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, ჭა და ა.შ.)*
- *სარწყავი სისტემები*
- *სანიაღვრე არხები*
- *ნაპირსამაგრი სამუშაოები*
- *გზები და გზისპირა მოსაცდელები*
- *ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები*
- *გარე განათება*
- *სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა*
- *სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი*
- *ამბულატორიის შენობები*
- *სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი*
- *სკვერები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით*
- *წისქვილების რეაბილიტაცია და შესაბამისი ინვენტარი*
- *მინი-ჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა*

სოფლის კრებები და საკონსულტაციო შეხვედრები 18 თებერვლიადან 2 მარტის ჩათვლით მიმდინარეობდა. მოსახლეობის გადაწყვეტილებით, სასურველი პროექტები მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში შეირჩა, რომელთა დიდი ნაწილი შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებას, სასმელის წყლის პრობლემის მოგვარებას, გარე განთების, სანიაღვრე არხების და ბოგირების მოწყობას შეეხებოდა.

საწირეში მდებარე პედაგოგთა და მეცნიერთა სახლის რეაბილიტაცია დასრულდა

პედაგოგთა და მეცნიერთა პროფესიული განვითარებისა და დასვენების ცენტრის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია და აღჭურვა დასრულებულია. მოხდა ორსართულიანი კორპუსის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღდგენა. კორპუსში განთავსებულია 17 საძილე ოთახი, 2 საკონფერენციო დარბაზი, გარემონტებულია კვების ბლოკი - სასადილო დარბაზი და ორი სამზარეულო, გარემონტდა ეზოს ღობე. დასრულებულია ეზოს და სპორტული მოედნის კეთილმოწყობა, შიდა და გარე განათებებით. გარემონტდა შენობის შიდა და გარე ფასადები.

კომპლექსი მზად არის, რომ ტრენინგებისა და დასვენებისათვის 40-45 პედაგოგს უმასპინძლოს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ინფორმაცია

„საქნახშირის“ ადმინისტრაციამ ქალბატონებს გაზაფხულის დღესასწაულები მიულოცა

ღონისძიება ადმინისტრაციულ კორპუსში გაიმართა. “საქნახშირის” ადმინისტრაციამ ქალბატონებს თაიგულები და პრემიები გადასცა. ტყიბულის მერმა, თემურ ჩუბინიძემ და ტყიბულის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნატალია კობახიძემ აღნიშნეს, რომ თითოეული ქალბატონის როლი უმნიშვნელოვანესია საწარმოს ყოველდრიურ, გამართულ მუშაობაში და მათ ჯანრმთელობა, წარმატება და წინსვლა უსურვეს.

წლების განმავლობაში გაწეული შრომისთვის და ერთგული სამსახურისთვის კომპანიის დირექტორის მოადგილემ წარმოების დარგში, ბადრი არაბიძემ და დირექტორის მოადგილემ შრომის უსაფრთხოების დარგში, ავთო ბოჭორიშვილმა ქალბატონებს მადლობა გადაუხადეს და აღნიშნეს, რომ „საქნახშირისთვის” ძვირფასია თითოეული ქალბატონი და დასაფასებელია მათი ყოველდღიური შრომა.

კოლეგებს დედის დღე და 8 მარტი მიულოცა „მინდელის“ სახელობის შახტის სატაბელო განყოფილების უფროსმაც, იზო აბუთიძემ. ღონისძიება ფურშეტით დასრულდა.

ქალბატონებს დედის დღე და 8 მარტი პროფკავშირების გაერთიანებამაც მიულოცა. პროფკავშირების წარმომადგენლებმა მათ საჩუქრად საოჯახო ნივთები გადასცეს.

„წიგნის მოყვარულთა კლუბი“

გაიცანით “საქნახშირის” წიგნის მოყვარულთა კლუბის ახალი წევრები!

გიორგი არაბიძე, *VI საჯარო სკოლა*

„მარტოსულობის უპირატესობანი“ ჩემი საყვარელი წიგნია. თანამედროვე სამყაროში აქტიურად განიხილავენ თინეიჯერების ცხობრებას, მათ პრობლემებს, რომელიც ყოველდღიურობაში ვლინდება. ვფიქრობ, სწორედ ეს წიგნი იძლევა ინფორმაციას იმ ცხოვრების შესახებ, რომელშიც ახალგაზრდებს უწევთ სხვადასხვა ბარიერების დაძლევა და იმ შესაძლებლობების გამოვლენა, რომლებიც მათ დაბადებიდან მოჰყვათ. მთავარი პერსონაჟი ყველა ნაწარმოებში დიდ როლს თამაშობს, რადგან ის არის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორი. თუმცა, “მარტოსულობის უპირატესობანი” ის წიგნია რომლის მთავარი პერსონაჟი (ჩარლი) ცდილობს საზოგადოებასთან ინტეგრირებას. ამის ბიძგს კი მისი ორი საუკეთესო მეგობარი, სემი და პატრიკი აძლევენ. ვფიქრობ, ჩარლია ის პერსონაჟი რომელიც საკუთარი თავის სრულყოფას სხვა ახალგაზრდების დახმარებით ცდილობს და ალბათ, სწორედ ეს არის მასში განსაკუთრებული.

წიგნების გამორჩევა არ მიყვარს, თუმცა მსოფლიო გამოწვევებიდან გამომდინარე, უმჯობესია რეალისტური ან დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოებები წავიკითხოთ. ეს მიზეზშედეგობრივად აღწერს რეალობას და მკითხველს ეხმარება, რომ პერსონაჟის მიერ დაშვებული შეცდომები არ გაიმეოროს. მუდმივად ვცდილობ განვვითარდე, ყველა ადამიანისგან საუკეთესო დავნერგო ჩემს თავში. “წიგნის მოყვარულთა კლუბი“ საშუალებას მომცემს გავიცნო ახალი ადამიანები, დავეხმაროთ ერთმანეთს წინსვლაში და საკუთარი შეხედულებები გავუზიაროთ.”

ლაშა გუბელიძე, *VII საჯარო სკოლა*

„ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“ ჩემი ყველაზე საყვარელი წიგნია. მიყვარს ფანტასტიკის ჟანრი და სათავგადასავლო წიგნები. ალბუს დამბლდორი ჩემი ყველაზე საყვარელი პერსონაჟია, რადგან კეთილი და ძლიერია. ფილმის ყურება კარგია, მაგრამ წიგნი სულ სხვაა. მიხარია, როდესაც ესა თუ ის ისტორია ბედნიერად სრულდება. გირჩევთ „ჰარი პოტერის” ყველა ტომი წაიკითხოთ. ასევე მიყვარს რობიზონ კრუზოც.”

ლუკა ცერცვაძე, *VII საჯარო სკოლა*

„ჩემი ერთ-ერთი საყვარელი წიგნია ჯეფ კინის “წრიპა ბიჭის დღიური.“ ძალიან სახალისო და საინტერესო წასაკითხია. პერსონაჟებიდან ყველაზე მეტად როულ ჯეფერსონი მომწონს, რადგან ის კიდევ უფრო სახალისოს ხდის ამ წიგნს. „წრიპა ბიჭის დღიურის“ გარდა, გირჩევთ წაიკითხოთ უნიდ ბლაიტონის “ცნობილი ხუთეული,” სიდუმლო შვიდეული” და ასტრიდ ლინდგრენის “მაწანწალა რასმუსი.” მიხარია, რომ წიგნის კითხვისას მიღებული შთაბეჭდილებების სხვებისთვის გაზიარება შემიძლია.“

„საქნახშირში“ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი გაუმჯობესდა!

სადაზღვევო კომპანია „უნისონის“ წარმომადგენლებსა და „საქნახშირის“ თანამშრომლებს შორის შეხვედრა გაიმართა.

„უნისონმა“ მაქსიმალურად გაითვალისწინა დაზღვეულების შენიშვნები, სურვილები და აქამდე არსებული სადაზღვევო პაკეტი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული სახით წარუდგინა მეშახტეებსა და „საქნახშირის“ ადმინისტრაციას.

განახლებულ პაკეტს დაემატა პროვაიდერი კლინიკები, კერძოდ: **ევექსის** ჰოსპიტალის ტყიბულის კლინიკა, შპს **კლინიკა-ლჯ** (ქუთაისი) და **ქუთაისის ცენტრალური საავადმყოფო**. გარდა ამისა, გაფართოვდა პროვაიდერი სააფთიაქო ქსელი, დაზღვეულები მედიკამენტების შეძენას შეძლებენ **PSP**-ს, **ავერსი**, **ჯიპისის**, **ფარმადეპოს** და **იმპექსის** აფთიაქებში. დაზღვევის პაკეტში შედის 2 კვირიანი სამოგზაურო დაზღვევაც.

აქამდე არსებული ჰოსპიტალიზაციის ლიმიტი (8000 ლარი) გაიზარდა და გახდა 16000 ლარი.

გაიზარდა თანაგადახდა, ოჯახის ექიმის მიერ გამოწერილ მედიკამენტებზეც - 1100 ლარის ნაცვლად ახლა 2000 ლარი იქნება (თანაგადახდა ითვალისწინებს ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებსა და სხვა, გამონაკლის ჯგუფში არსებულ მედიკამდენტებსაც).

მსოფლიოში შექმნილი ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, განახლებულ პაკეტში კოვიდ ინფექციის მართვაც შედის. Covid-19 ვირუსის დადასტურების დღიდან გამოჯანმრთელების დღემდე, პაციენტის მართვაზე პასუხისმგებლობას „უნისონის“ ოჯახის ექიმი იღებს.

სასიკეთო ცვლილებაა სტომატოლოგიის სერვისშიც. მომსახურე კლინიკა შეირჩა „საქნახშირის“ თანამშრომლების მოთხოვნის შესაბამისად და არსებული პირობა გაუმჯობესდა 70% თანადაფინანსებით.

უბედური შემთხვევის კომპენსაცია 10 000 ლარის ნაცვლად 15 000 ლარი გახდა.

გაუმჯობესებული სადაზღვეო პაკეტი ძალაში პირველი აპრილიდან, გამოსაცდელი ვადით, 3 თვით შევა. თანამშრომლების უკმაყოფილების შემთხვევაში სხვა სადაზღვეო კომპანია შეირჩევა.

საქნახშირი SAKNAKHSHIRI

მეშახტე

მარტი | 2021 | №7

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, თამარ გაფრინდაშვილი, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

“საქნახშირის” კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri